ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3325384

ნომერი: AR1510485

თარიღი : 01.06.2017

გაცემის თარიღი : 15.06.2017

გაცნობის თარიღი : 15.06.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გულია , N 1 , (ნაკვ. 4/19) ; ქალაქი თბილისი , ქუჩა გულია , N 1 , (ნაკვ. 4/22) ; ქალაქი თბილისი , ქუჩა გულია , N 1 , (ნაკვ. 4/23) ; ქალაქი თბილისი , ქუჩა გულია , N 1 , (ნაკვ. 04/034) ; ქალაქი თბილისი , ქუჩა გულია , N 1 , (ნაკვ. 04/039) ; ქალაქი თბილისი , ქუჩა გულია , N 1 , (ნაკვ. 04/040) ; ქალაქი თბილისი , ქუჩა გულია , N 1 , (ნაკვ. 04/032) ; ქალაქი თბილისი , ქუჩა გულია , N 1 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა გულია , N 1 , (ნაკვ. 4/16) ; ქალაქი თბილისი , ქუჩა გულია , N 1 , (ნაკვ. 4/21) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ტრისტან სულაძე პ/ნ 01024009204
- თბილისი ბერბუკის ქ. N 10 ბ. 78

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტები
  - ავტოსადგური

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის

ნებართვისგაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის#14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა დაგანაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“თანახმად.

გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების 2017 წლის AR1510485 განაცხადის პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, გულიას ქ. N1-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე გაცემულ განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში ცვლილების შეტანას, გაცნობებთ, იმისთვის, რომ საკითხი განხილულ იქნას „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს“ (შემდგომში „საბჭო“) სხდომაზე, საჭიროა გასწორდეს რიგი ხარვეზები, კერძოდ:
http://tas.ge/-ზე ელექტრონული განცხადების ველებში:
1. "მოთხოვნის ტექსტის" ველში დააფიქსირეთ მოთხოვნა მხოლოდ შეთანხმების საგნის შესახებ;
2. სრულყოფილი განმარტებითი ბარათი (როგორც tas.ge-ზე, ასევე ალბომში);
3. საინფორმაციო დაფა;
აგრეთვე, წარმოადგინეთ გრგ გეგმარებითი დავალების წინასაპროექტო კვლევა შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გათვალისწინებით, სადაც ნათლად გამოჩნდება გეგმარებით დავალებაში ცვლილების მიზანი და ამოცანები.
4. განაახლეთ ყველა რუკა რომელზეც NN01.18.09.004.033 მიწის ნაკვეთი შესულია გრგ არეალში საპროექტო ტერიტორიის სახით.
დანართის სახით გიგზავნით გრგ გეგმარებითი დავალების ალბომის შემადგენლობას. ვინაიდან მოთხოვნილია გრგ დავალებაში (შემდგომში გდ) ცვლილების შეტანა, გთხოვთ, დაგეგმვის საჭიროებიდან გამომდინარე, ალბომში ჩამოთვლილი ნახაზებიდან წარმოადგინოთ მხოლოდ ის ნაწილი, რაც გამოხატავს გდ-ში ცვლილების შინაარს და მიზნობრიობას.
შესწორებული კორექტირებული პროექტი უნდა აიტვირთოს http://tas.ge/–ზე ამავე განაცხადის დახარვეზებულ ან, საჭიროების შემთხვევაში, დამატებით ველში.
მხოლოდ გასწორებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ, საკითხი განსახილველად გადაგზავნილი იქნება „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს“ სხდომაზე.
საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, პროექტთან დაკავშირებულ კონკრეტულ მითითებებსა და რეკომენდაციებს, სამსახური საჭიროებისამებრ, დამატებით მოგწერთ ქ. თბილისის საკრებულოში განსახილველად გადაგზავნამდე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო 3 დღის ვადაში ამოწმებს განცხადების შესაბამისობას ამ კოდექსის 78-ე მუხლის მოთხოვნებთან;
თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია;
თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დამატებითი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენის დაწესებული ვადა არ შეიძლება იყოს 5 დღეზე ნაკლები. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია განმცხადებლის მოთხოვნით მხოლოდ ერთხელ, მაგრამ არა უმეტეს 15 დღით, გააგრძელოს დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენის ვადა;
თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დამატებითი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენამდე განცხადების განხილვის ვადის დინება შეჩერებულად ითვლება;
თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ;
განცხადების განხილვის ვადის დინება განახლდება შესაბამისი საბუთის ან ინფორმაციის წარდგენისთანავე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აღნიშნული გადაწყვეტილებით განსაზღვრული დოკუმენტაციის/ან სხვა ინფორმაციის წარმოსადგენად გეძლევათ 30 დღე.
გაითვალისწინეთ, რომ დადგენილ ვადაში დოკუმენტაციის/ან სხვა ინფორმაციის წარმოუდგენლობის ან არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში სამსახური უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.